საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-813

23/08/2019

ქ. თბილისი

„საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში შპს „უსასრულო ენერგიის“ მიერ ქარის ელექტროსადგურის, იმერეთი 2-ის (დადგმული სიმძლავრე 15 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, ქვესადგურის განთავსებასა და ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ”

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს „საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, შპს „უსასრულო ენერგიის“ მიერ ქარის ელექტროსადგურის იმერეთი 2-ის (დადგმული სიმძლავრე 15 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, ქვესადგურის განთავსებასა და ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანაზე სკოპინგის დასკვნა N87 (20.08.2019წ.);
2. შპს „უსასრულო ენერგიამ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N87 (20.08.2019წ.) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „უსასრულო ენერგიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „უსასრულო ენერგიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

იური ნოზაძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი